ხელოვანისათვის ხელოვნება ყველაზე მნიშვნელოვანია

ხელოვნება ადამიანის სულიერი სამყაროს ერთ-ერთი უმთავრესი გამოხატულებაა, თუმცა ხელოვანისთვის იგი გაცილებით მეტ მნიშვნელობას იძენს, ვიდრე უბრალოდ თვითგამოხატვა. შემოქმედისთვის ხელოვნება ცხოვრების არსია შინაგანი აუცილებლობა, ის სივრცე, სადაც იგი საკუთარ თავს პოულობს და უკვდავებას ეზიარება. ამიტომაც, ხელოვანისთვის ხელოვნება ხშირად ყოველგვარ მატერიალურ კეთილდღეობაზე მაღლა დგას.

შემოქმედება ხელოვანისთვის არჩევანი არ არის ეს მისი შინაგანი მოთხოვნილებაა, რომელიც მის ბუნებაშია ჩადებული. იგი ვერ წყვეტს შექმნას, რადგან შემოქმედების გარეშე საკუთარ არსებობას კარგავს. ტიციან ტაბიძის სიტყვები „მე არ ვწერ ლექსებს… ლექსი თვითონ მწერს“ ნათლად გამოხატავს ამ მდგომარეობას: პოეტი თითქოს ინსტრუმენტად იქცევა, რომლის საშუალებითაც ხელოვნება თავად იძენს ფორმას. ამ პროცესში ადამიანი მთლიანად ეძლევა შინაგან ძალას, რომელიც ხშირად მტკივნეულიც არის, თუმცა მაინც აუცილებელი.

ამასთანავე, ხელოვნება მსხვერპლსაც მოითხოვს. ხელოვანი ხშირად უარს ამბობს ისეთ ღირებულებებზე, რომლებიც სხვებისთვის მნიშვნელოვანია სიმშვიდეზე, სტაბილურობასა და მატერიალურ კეთილდღეობაზე, ზოგჯერ კი პირად ბედნიერებაზეც. ჰერმან ჰესეს პერსონაჟი ჰან ფოკი ყველაფერს ტოვებს, რათა სრულყოფილად დაეუფლოს სიტყვას, რადგან მისთვის სიცოცხლე აზრს მხოლოდ შემოქმედებაში იძენს. ანალოგიურად, კონსტანტინე არსაკიძე საკუთარ სიცოცხლესაც კი სწირავს იდეალს სვეტიცხოვლის შექმნას, რომელიც მისთვის მხოლოდ ნაგებობა კი არა, სულიერი გამარჯვებაა. აქ ხელოვნება ღმერთთან მიახლოების გზად იქცევა, ხოლო მსხვერპლი სრულყოფილების მიღწევის აუცილებელ პირობად.

ხელოვნება ასევე ის ძალაა, რომლითაც ადამიანი დროსა და სიკვდილს ებრძვის. ადამიანის სიცოცხლე ხანმოკლეა, თუმცა ნამდვილი ქმნილება საუკუნეებს უძლებს. სწორედ ამიტომ, ოსტატი თითქოს აღემატება სიკვდილს არა ფიზიკურად, არამედ იმით, რომ მისი ნამუშევარი მის არსებობას აგრძელებს. ხელოვნება არის გზა, რომლის მეშვეობითაც ადამიანი საკუთარ უკვდავებას ქმნის.

ხელოვანი ხშირად ვერ ეგუება რეალობას, რადგან სამყაროს სხვაგვარად უფრო ღრმად და მწვავედ აღიქვამს. ყოველდღიური ყოფა მისთვის არასაკმარისია იგი ეძებს იდეალს, სრულყოფილებას, რომელიც რეალურ ცხოვრებაში იშვიათად არსებობს. ამიტომაც განიცდის იმედგაცრუებას, როცა რეალობა ვერ უტოლდება მის მიერ შექმნილ სილამაზეს. იგი ხშირად მარტოსულია, გაუგებარია სხვებისთვის, თუმცა ეს მარტოობა აუცილებელია, რადგან სწორედ ამ მდგომარეობაში ახერხებს სამყაროს სიღრმისეულად გააზრებას. ხელოვანი თითქოს ორ სამყაროს შორის ცხოვრობს რეალურსა და მის მიერ შექმნილს, სადაც სრულყოფილება უფრო ხელშესახებია. ხელოვნება ხელოვანისთვის მხოლოდ საქმიანობა არ არის ეს მისი იდენტობაა. ამ გზით იგი განსაზღვრავს საკუთარ თავს, თავის ადგილს სამყაროში და საკუთარი არსებობის მნიშვნელობას. თუ ხელოვანს ჩამოაშორებ შემოქმედებას, იგი დაკარგავს არა მხოლოდ საქმეს, არამედ საკუთარ არსსაც. ამიტომაც იგი ერთგულია ხელოვნების, მიუხედავად ტკივილისა და სირთულეებისა რადგან ეს არის ერთადერთი გზა, რომლითაც შეუძლია იყოს ნამდვილი.

საბოლოოდ, ხელოვანისთვის ხელოვნება მართლაც ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობაა. ეს არის მისი აზროვნება, გრძნობა და დროის წინააღმდეგ ბრძოლა. შემოქმედი ქმნის არა მხოლოდ ნამუშევარს, არამედ საკუთარ თავს, და ამ გზით აღწევს იმ უკვდავებას, რომელიც მხოლოდ

ხელოვნებაშია შესაძლებელი. ამიტომაც ხელოვნება მისთვის არ არის უბრალოდ არჩევანი ეს არის მისი არსებობის მთავარი აზრი.

მარიამ გოჩაშვილი